“დინამო” (თბილისი) – ასკ (ოდესა) 3:0 (1:0)

მატჩი თბილისელთა შეტევებით დაიწყო და უკვე მე–3 წუთზე ოდესელთა კარში პირველი გოლი გავიდა (მისი ავტორი მინაშვილი იყო). ტაიმის მანძილზე ინიციატივას “დინამო” ფლობდა, თუმცა ანგარიშის გაზრდა აღარ მოხერხდა – მასპინძელთა იერიშები არც ისე მწვავე იყო.

მეორე ტაიმის დაწყებიდან სულ 6 წუთი იყო გასული, როცა ოდესელი მცველისა და მეკარის შეუთანხმებელი მოქმედებით კარგად ისარგებლა ჩელებაძემ – 2:0.

61–ე წუთზე დინამოელებმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს, მეტოქის საჯარიმოში შეიჭრა გუცაევი და ზუსტი დარტყმით ანგარიში 3:0–მდე გაზარდა. შემდეგ მასპინძლებს კიდევ ჰქონდათ რამდენიმე კარგი შესაძლებლობა, მაგრამ ანგარიში აღარ შეცვლილა.

თბილისის “დინამომ” 5 თამაშში 10 ქულა მოაგროვა, პირველი ადგილი დაიკავა და 16 მარტს თასის გათამაშების მერვედფინალურ მატჩში სიმფეროპოლში შეხვდება ადგილობრივ “ტავრიას”.

დინამოელები თამაშობდნენ ასეთი შემადგენლობით: გაბელია, სულაქველიძე (კოსტავა), ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი (ქორიძე), გუცაევი, მინაშვილი (გ. მაჩაიძე), ჩელებაძე.

ბ. ირემაძე.
“ლელო”, 11 მარტი, 1980 წ.